

ქალაქ ბათუმში, რუსთაველის ქ. N20-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/ კN05.22.06.001 სასტუმროს მშენებლობის მიზნით განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების თაობაზე საჯარო განხილვა.

დაინტერესებული პირი - შპს „ორიქსი“. ინიციატორის მიერ დასახელებული განვითარების მიზანია 8 სართულიანი სასტუმროს მშენებლობა, რაც უზრუნველყოფს საპროექტო კომპლექსის ვიზუალურ, მოცულობით, არქიტექტურულ და ქალაქგეგმარებითი მნიშვნელობიდან გამომდინარე მოცემული ადგილის განვითარებას, რისთვისაც საჭიროა განაშენიანების ინტენსიობის კ2 კოეფიციენტის გადამეტება.

დაინტერესებული პირი განმარტავს, რომ პროექტირების განხორციელების მთავარი მიზანი არის აღნიშნული კვარტალის არქიტექტურული იერსახის სრულყოფა და არსებული ამორტიზებული შენობის ნაცვლად ახალი ესთეტიკური ვიზუალის მქონე სასტუმროს მშენებლობა.

საჯარო განხილვა გაიმართება მიმდინარე წლის 12 ნოემბერს 16:00 საათზე (ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ბრიფინგიუმში).

დაინტერესებულ პირებს უფლება აქვთ წინამდებარე ინფორმაციის გამოქვეყნებიდან არაუმეტეს 10 დღის ვადაში წარმოადგინონ მოსაზრება საკითხის ირკვლივ.

დანართი: თანდართული მასალა თან ერთვის.